

პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები

ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი
კ.ტ. რეინოლდსი
ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
2013

პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდები
მეექვსე გამოცემა. ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი, ჰ.ტ. რეინოლდსი,
ჯეისონ დ. მაიკოფთან ერთად

Political Science Research Methods

Sixth Edition, Janet Buttolph Johnson, H. T. Reynolds with Jason D. Mycoff

Copyright © 2008 by CQ Press, a division of SAGE. CQ Press is a registered trademark of Congressional Quarterly Inc.

საავტორო უფლება © 2008 ეკუთვნის CQ Press-ს, რომელიც არის SAGE-ს დანაყოფი. CQ Press არის Congressional Quarterly Inc.-ის რეგისტრირებული სავაჭრო ნიშანი.

პირველი გამოცემა შესრულებულია CQ Press-ის მიერ აშშ-ს, ლონდონსა და ნიუ დელიში. ქართული თარგმანი შესრულებულია საავტორო უფლებების მფლობელთან შეთანხმებით.

© 2013 ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყველა უფლება დაცულია.

Funded through the Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia
დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ს საელჩოს
წიგნების თარგმნის პროგრამის მიერ

სამეცნიერო

რედაქტორები: დავით აფრასიძე, ნინო ჯავახიშვილი

მთარგმნელები: გიორგი გვალია, ზურაბ იაშვილი, მისხეილ კეკელიძე,

ნატალია მაჩაბელი, ტარიელ სინარულიძე, ლილი ხერუაშვილი

რედაქტორები: ირმა რევიშვილი, ნატალია ვაჩიშვილი

კორექტორი: ნინო კურტანიძე

დამკაბადონებელი: სოფიო კველიშვილი

ყდის დიზაინი: თამარ ბასილია

ISBN 978-9941-18-159-7

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

სარჩევი

წინასიტყვაობა XV

1. შესავალი 1

- კვლევა პოლიტიკაში მოგებულთა და წაგებულთა შესახებ 4
- ვინ მონაწილეობს არჩევნებში და ვინ არა? 10
- ადამიანის უფლებების დარღვევები 14
- სასამართლო გადაწყვეტილებები და მისი შედეგები 16
- გავლენა ბიუროკრატიაზე 20
- საარჩევნო რეკლამის გავლენა ამომრჩევლებზე 23
- ამერიკის საგარეო საქმეებში ჩართულობა და საზოგადოებრივი მხარდაჭერა 27
- დასკვნა 31

2. პოლიტიკის შესწავლა მეცნიერულად 36

- მეცნიერული ცოდნის მახასიათებლები 38
 - თეორიის მნიშვნელობა 47
- ემპირიული ცოდნის შექმნა: მეცნიერული მეთოდი 53
 - დედუქცია და ინდუქცია 55
 - როგორ მუშაობს მეცნიერული მიდგომა 57
- არის კი პოლიტიკის მეცნიერება რეალურად „მეცნიერება“? 59
 - პრაქტიკული კრიტიკა 59
 - ფილოსოფიური კრიტიკა 61
- პოლიტიკის მეცნიერების დისციპლინის მოკლე ისტორია 64
 - ტრადიციული პოლიტიკის მეცნიერების პერიოდი 64
 - ემპირიული რევოლუცია 65
 - რეაქცია ემპირიზმზე 67
 - პოლიტიკის მეცნიერება დღეს: მშვიდობიანი თანაარსებობა? 69
- დასკვნა 71

3. სოციალური მეცნიერების კვლევის შემადგენელი ნაწილები: ჰიპოთეზები, ცნებები და ცვლადები 78

- საკვლევი კითხვის განსაზღვრა 78
- ახსნის შეთავაზება 84
- ჰიპოთეზის ფორმულირება 90
 - კარგი ჰიპოთეზის მახასიათებლები 90
 - ანალიზის ერთეულის განსაზღვრა 98
 - დონეთაშორისი ანალიზი: ეკოლოგიური დასკვნა და ეკოლოგიური შეცდომა 100

სარჩმვი

ცნებების განსაზღვრება 104

დასკვნა 109

4. სოციალური მეცნიერების კვლევის შემადგენელი ნაწილები: გაზომვა 112

გაზომვის სტრატეგიების შემუშავება 114

პოლიტიკის მეცნიერებაში გაზომვის მაგალითები:

გზა ოპერაციონალიზაციამდე 116

გაზომვის სისწორე 120

სანდობა 120

ვალიდურობა 123

პოლიტიკის მეცნიერებაში გაზომვების სანდობასა და

ვალიდურობასთან დაკავშირებული პრობლემები 130

გაზომვების სიზუსტე 133

გაზომვის დონეები 133

მუშაობა სიზუსტესთან: ძალიან ცოტა ან ძალიან ბევრი 137

მრავალპუნქტიანი საზომები 140

ინდექსები 140

სკალები 143

დასკვნა 149

5. კვლევის დიზაინი 154

კაუზალური დასკვნები და კონტროლირებადი ექსპერიმენტები 156

კაუზალური და მოჩვენებითი კავშირები 156

რანდომიზებული კონტროლირებადი ექსპერიმენტი 160

რანდომიზაცია და სუბიექტთა განაწილება 167

ექსპერიმენტის შედეგების ინტერპრეტირება და განზოგადება 168

შინაგანი ვალიდურობა 168

გარეგანი ვალიდურობა 171

ექსპერიმენტული დიზაინის სხვა სახეები 174

მარტივი პოსტტესტის დიზაინი 175

განმეორებითი გაზომვის დიზაინი 176

მრავალჯგუფიანი დიზაინი 178

საველე ექსპერიმენტი 179

კვლევის არაექსპერიმენტული დიზაინები 186

მცირე-N დიზაინი 187

კროსსექციური დიზაინი: გამოკითხვები და აგრეგირებულ

მონაცემთა ანალიზი 196

დროთა სერიის დიზაინი 201

პანელური კვლევა 204

ალტერნატიული კვლევითი სტრატეგიები 210

ფორმალური მოდელირება 210

სიმულაცია 216
დასკვნა 220

6. ლიტერატურის მიმოხილვა 230

კვლევის საგნის შერჩევა 231
რისთვის გვჭირდება ლიტერატურის მიმოხილვა? 236
წყაროების მოძიება ლიტერატურის მიმოხილვისთვის 237
მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურის განსაზღვრა 238
სასარგებლო პოპულარული წყაროების მოძიება 245
ლიტერატურის წაკითხვა 249
ლიტერატურის მიმოხილვის დაწერა 250
ლიტერატურის მიმოხილვის ანატომია 252
დასკვნა 257

7. შერჩევა 259

შერჩევის საფუძვლები 260
პოპულაცია თუ შერჩევა? 262
ფუნდამენტური ცნებები 264
შერჩევის ტიპები 268
მარტივი შემთხვევითი შერჩევა 269
სისტემური შერჩევა 272
სტრატეგიცირებული შერჩევა 273
კლასტერული შერჩევა 276
არააღბათური შერჩევა 279
შერჩევა და სტატისტიკური დასკვნები: მცირე შესავალი 281
მოსალოდნელი მნიშვნელობა 283
მონაცემების ვარიაციის გაზომვა: სტანდარტული შეცდომა 286
შერჩევის განაწილება 291
რა მოცულობის უნდა იყოს შერჩევა? 292
დასკვნა 294

8. ემპირიული დაკვირვება: პირდაპირი და ირიბი დაკვირვება 302

მონაცემთა ტიპები და შეგროვების ხერხები 302
მონაცემების თვისებრივი და რაოდენობრივი გამოყენება 303
მონაცემთა შეგროვების რომელ მეთოდს მივანიჭოთ
უპირატესობა 304
დაკვირვება 308
პირდაპირი დაკვირვება 310
არაპირდაპირი დაკვირვება 318
ფიზიკური კვალი/სამხილი 318
არაპირდაპირ დაკვირვებასთან დაკავშირებული ვალიდურობის
პრობლემები 320

სარჩმ30

დაკვირვების ეთიკური საკითხები 322
დასკვნა 326

9. დოკუმენტების ანალიზი: ჩანაწერების გამოყენება 332

ჩანაწერის ტიპები 333
ეპიზოდური ჩანაწერები 333
სისტემატური ჩანაწერები 338
სისტემატური და ეპიზოდური ჩანაწერების შედარება 346
პრეზიდენტის საქმიანობის შეფასება 348
კონტენტ-ანალიზი 352
კონტენტ-ანალიზის პროცედურები 353
საპრეზიდენტო საარჩევნო კამპანიების გაშუქება 357
ჩანაწერების დადებითი და უარყოფითი მხარეები 363
დასკვნა 367

10. მასობრივი გამოკითხვა და ინტერვიუ 371

საფუძვლები: როგორ უზრუნველვყოთ ვალიდურობა და სანდოობა 373
გამოკითხვა 376
გამოკითხვის ტიპები 377
გამოკითხვების მახასიათებლები 379
პასუხების ხარისხი 390
გამოკითხვის ტიპები და პასუხების ხარისხი 394
კითხვების ფორმულირება 397
შეკითხვის ტიპები 403
შეკითხვების თანმიმდევრობა 407
კითხვარის დიზაინი 411
დაარქივებული კვლევების გამოყენება 411
დაარქივებული კვლევების გამოყენების უპირატესობა 412
ღია საჯარო არქივები 413
ინტერვიუ 416
ინტერვიუს დადებითი და უარყოფითი მხარეები 420
დასკვნა 425

11. სტატისტიკა: პირველი ნაბიჯები 434

მონაცემთა მატრიცა 434
მონაცემების აღწერა და შესწავლა 435
სისშირეთა განაწილებები, პროპორციები და პროცენტები 438
აღწერითი სტატისტიკა 445
ცენტრალური ტენდენციის საზომები 446
ცვალებადობის, ანუ გაფანტვის საზომები 454
გადახრები ცენტრალური ტენდენციიდან 460
გრაფიკები მონაცემთა აღწერისა და შესწავლისთვის 472
საჩვენებელი გრაფიკები: სვეტებიანი და წრიული დიაგრამები 475
მიმოხილვითი გრაფიკები 477

სტატისტიკური დასკვნა 483
 ორი სახის დასკვნა 485
 ჰიპოთეზის შემოწმება 485
 საშუალოს მნიშვნელოვნების კრიტერიუმები 498
 ნდობის ინტერვალები და ნდობის დონეები: პოპულაციის პარამეტრების
 შეფასებების წარდგენა 511
 დასკვნა 515

12. ორ ცვლადს შორის კავშირის შესწავლა 524

კავშირის დადგენისა და გაზომვის საფუძვლები 524
 კავშირის ტიპები 525
 კავშირის სიძლიერე 527
 რიცხვითი შეჯამებები: ასოციაციის საზომები 528
 სახელდებისა და რიგის სკალების ცვლადების ნიშანთა შეუღლების
 ცხრილები 530
 კავშირის სიძლიერის პირველადი შეფასება 534
 კავშირის მიმართულება 537
 კოეფიციენტები რიგის სკალის ცვლადებისთვის 540
 კოეფიციენტი სახელდების სკალის მონაცემებისთვის 548
 ასოციაცია 2x2 ნიშანთა შეუღლების ცხრილებში: შანსების
 თანაფარდობა 556
 ნიშანთა შეუღლების ცხრილების სტატისტიკური მნიშვნელოვნების
 შემოწმება 559
 დისპერსიული ანალიზი და საშუალოთა შორის განსხვავება 570
 საშუალოთა შორის განსხვავება, ანუ ეფექტის ზომა 571
 პროპორციების განსხვავება 581
 დისპერსიული ანალიზი 584
 რეგრესიული ანალიზი 589
 წერტილოვანი გაბნევის დიაგრამები 590
 მატრიცული დიაგრამები 594
 წრფივი კავშირების მოდელირება 596
 რეგრესიის მოდელი 597
 პარამეტრების ინტერპრეტაცია 600
 რეგრესიის წრფის მორგების გაზომვა 602
 კორელაციის კოეფიციენტი 605
 რეგრესიის სტანდარტიზებული კოეფიციენტები 608
 დასკვნები რეგრესიის პარამეტრებისთვის 611
 რეგრესიის მგრძობელობა დიდი მნიშვნელობებისადმი 613
 დასკვნა 614

13. მულტივარიაციული ანალიზი 621

კატეგორიულური მონაცემების მულტივარიაციული ანალიზი 623
 მრავლობითი რეგრესია 634
 პარამეტრების ინტერპრეტაცია 637

სარჩემი

ფიქტიური ცვლადები 640
რეგრესიის განტოლების შეფასება და გამოთვლა 642
რეგრესიის სტანდარტიზებული კოეფიციენტები 643
მორგების გაზომვა 646
მნიშვნელოვნების კრიტერიუმები 647
ლოგარითმული რეგრესია 649
მოდელის კოეფიციენტების შეფასება 657
მორგების საზომები 658
მნიშვნელოვნების კრიტერიუმები 661
ლოგარითმული რეგრესიის კოეფიციენტების ალტერნატიული
ინტერპრეტაცია 664
რეალური მაგალითი 667
დასკვნა 671

14. კვლევის ანგარიში: გარჩეული მაგალითი 677

კვლევის ანგარიშის მაგალითი 678
კვლევის ანგარიშის მაგალითის ანალიზი 701
დასკვნა 707

დანართი 709

სიტყვარი 715

წინასიტყვაობა

პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების მე-6 გამოცემა ერთ-გული რჩება იმ სამი ძირითადი მიზნისა, რომლითაც ჩვენ წიგნის პირველად გამოსვლის დღიდან ვხელმძღვანელობთ. ჩვენი პირველი მიზანია, მოვახდინოთ კვლევის პროცესის ძირითადი ასპექტების ილუსტრაცია და ვაჩვენოთ, რომ პოლიტიკის მკვლევრები ქმნიან საყურადღებო ცოდნას მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ სწორედ იმ მეთოდების გამოყენებით, რომლებსაც ჩვენ ამ წიგნში აღვწერთ. იმისათვის, რომ ეს შეძლებისდაგვარად ნათლად წარმოვაჩინოთ, წიგნს კვლავ პოლიტიკის მეცნიერების კვლევების რამდენიმე მაგალითის აღწერით ვიწყებთ. ეს მაგალითები პოლიტიკის მეცნიერულად შესწავლის საკვანძო საკითხებსა და დებატებს ეხმიანება. სპეციალურად ამ გამოცემისთვის, ჩვენ განვაახლეთ და განვაგრძეთ ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვეყნებში შემოსავლების უთანასწორობისა და გადანაწილების მაგალითი, რომელიც კარგად ებმის ამომრჩეველთა საარჩევნო აქტიურობის მაგალითს. ჩვენ ასევე განვაგრძეთ სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების მაგალითები ამ საკითხზე ახალი კვლევის ჩართვით, რომელიც პანელური კვლევის დიზაინს იყენებს. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ბიუროკრატის კონტროლის მაგალითი ახალ გამოცემაში მოიცავს კვლევას, რომელიც აჩვენებს, თუ რატომ აყალიბებს კონგრესი სააგენტოების ორგანიზაციულ სტრუქტურას ისე, რომ პრეზიდენტის მიერ სააგენტოებზე კონტროლის განხორციელება გაართულოს. დაბოლოს, ამერიკის მიერ საგარეო საქმეებში სამხედრო ჩარევის შესახებ საზოგადოებრივი აზრის კვლევის მაგალითი ჩავანაცვლეთ ახალი კვლევით, რომელიც სამხედრო ოპერაციებში ცოცხალი ძალის დანაკარგებთან მიმართებაში საზოგადოების ტოლერანტულობას იკვლევს.

ჩვენ ასევე განვაახლეთ წიგნი, რათა განვეხიროთ ცივკვების კიდევ ორი ამოცანა: მივცეთ მკითხველებს იმგვარი უნარ-ჩვევები, რომლებიც მათ საკუთარი კვლევების ჩატარებასა და სხვების კვლევების შეფასებაში გამოადგებათ; დავებნართ მხოლოდ საბაზისო მათემატიკის ცოდნის მეორე სტუდენტებს, გაითავისონ სტატისტიკური გამოთვლები, რომლებიც სოციალური მეცნიერებების კვლევების ნაწილია. წიგნში ჩვენ შევამცირეთ, ან საერთოდ ამოვიღეთ მეთოდებსა და ტექნიკურ საკითხებზე არსებული ვრცელი ნაწილები, რადგან ნაკლებად მოსალოდნელია, რომ სტუდენტებმა ისინი გამოიყენონ. ზოგიერთი ფორმულა ტექსტის ძირითადი ნაწილიდან გადავიტანეთ ჩანართში, რომელსაც დავარქვით „როგორ კეთდება“. იმისათვის, რომ ჩვენც ავკვსახა მუდმივად მზარდი ინტერესი ინტერნეტზე დაფუძნებული კვლევების მიმართ, განვაგრძეთ დისკუსია, თუ როგორ გამოვიყენოთ ინტერნეტრესურსები. ასევე, წიგნი განსაკუთრებულ ძალისხმევას მიმართავს, რათა წაახალისოს სტუდენტები, გაიგონ და იფიქრონ სტატისტიკური შედეგების პრაქტიკულ და თეორიულ იმპლიკაციებზე. ამ მიზნის მისაღწევად, ჩვენ მნიშვნელოვნად შევცვალეთ რამდენიმე თავი,

რათა სტუდენტებს გაუადვილდეთ დისციპლინის საკვანძო მეთოდების გაგება. მაგალითად, მეთერთმეტე თავი სტატისტიკის შესახებ ახლა უკვე იწყება „პირველი ნაბიჯებით“, რომელიც უფრო მარტივად განიხილავს ისეთ საკითხებს, როგორცაა მონაცემების მომზადება ანალიზისათვის, აღწერა, დასკვნების გაკეთება, ინტერპრეტაცია და შედეგების კომუნიკაცია. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ამ მიზნების მიღწევით, წიგნი დააკმაყოფილებს როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურების სტუდენტების მოთხოვნებს.

ეს წიგნი ისეა აგებული, რომ კარგად აჩვენებს კვლევა თავიდან იწყება იდეებით, რომლებსაც ჩვენ ჰიპოთეზებს ვუწოდებთ. ამას შემდეგ მოჰყვება სხვა ლოგიკური ნაბიჯები. პირველი თავი გთავაზობთ კვლევის რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ასევე წიგნის სხვა თავებშიცაა ინტეგრირებული. ამ მაგალითების შერჩევას, ჩვენი მიზანი იყო, მოგვეხდინა პოლიტიკის მეცნიერების მრავალფეროვანი საკითხების ილუსტრირება: ამერიკის პოლიტიკა, საჯარო მმართველობა, სასამართლოების სისტემა, საერთაშორისო ურთიერთობები, შედარებითი პოლიტიკა და საჯარო პოლიტიკა. ჩვენ ამ მაგალითებს მთელი წიგნის მანძილზე, დროდადრო განვიხილავთ, რათა მოვახდინოთ იმ საკითხების, გადაწყვეტილებებისა და დაბრკოლებების დემონსტრირება, რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერები, ჩვეულებრივ, აწყდებიან კვლევის დროს. ჩვენ გვსურს, ვაჩვენოთ, თუ რა ხდება სცენის მიღმა კვლევითი საქმიანობის დროს და ამის საუკეთესო საშუალება რეალურად არსებული სამეცნიერო პუბლიკაციების გამოყენებაა. ამ მიდგომის უპირატესობა სწორედ იმაშია, რომ ის ეხმარება სტუდენტებს, შინაარსობრივი საკითხები მეთოდოლოგიურ საკითხებს დაუკავშირონ. მეორე თავი განიხილავს სამეცნიერო კვლევის განსაზღვრებას და ასევე ემპირიული პოლიტიკის მეცნიერების განვითარებას. ჩვენ განვიხილავთ თეორიის როლს კვლევით პროცესში და თანამედროვე პოლიტიკის მეცნიერების ცალკეულ დებატებსაც მიმოვიხილავთ.

მესამე და მეოთხე თავები პოლიტიკის მეცნიერების საკვანძო საკითხებს ეხება: ესენია ჰიპოთეზები, საკვანძო ცნებები, ცვლადები და გაზომვა. მეხუთე თავი ეხება კვლევის სხვადასხვა დიზაინს, მათ შორის მცირე რაოდენობის შემთხვევების შესწავლას. მეხუთე თავში ასევე მოცემულია ცხრილი, რომელიც კარგად აჯამებს და ერთმანეთს ადარებს სხვადასხვა კვლევითი დიზაინის ძირითად მახასიათებლებს. მეექვსე თავში ჩვენ ლიტერატურის მიმოხილვას ვეხებით. მას შემდეგ, რაც სტუდენტს გაუჩნდება გარკვეული იდეები, თუ როგორ დაიწყოს ცალკეული საკითხების გამოკვლევა, მან უნდა იცოდეს, როგორ მოიძიოს და შეისწავლოს მისთვის საინტერესო თემებზე არსებული ლიტერატურა და სხვა წყაროები. ეს თავი განახლდა, რათა აგვესახა წყაროების მოსაძიებლად ინტერნეტის გამოყენების ხერხებიც. ჩვენ განვიხილავთ Web of Sciences-ის და სხვა წყაროების მაგალითებს რეფერირებული სტატიების მოსაძიებლად. ამ გამოცემაში პირველად ვმსჯელობთ, თუ როგორ უნდა მომზადდეს ლიტერატურის მიმოხილვა და გთავაზობთ შესაბამის მაგალითს. მეშვიდე თავი, რომელიც ეხება შერჩევას, წინ უსწრებს მონაცემების შეგროვების თავებს, იმ ლოგიკით, რომ ვაჩვენოთ – შერჩევა მხოლოდ მათ არ აინტერესებთ, ვინც

გამოკითხვებს ატარებს. მერვედან მეათეს ჩათვლით თავები განიხილავს მონაცემების შეგროვებას იმ მეთოდების ხაზგასმით, რომლებსაც პოლიტიკის მეცნიერები ყველაზე ხშირად იყენებენ და რომლებიც საინტერესოა სტუდენტებისთვის საკუთარი კვლევების ჩატარებისა თუ სხვისი კვლევების შეფასებისათვის. ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ კვლევის ეთიკურ პრინციპებზე და მონაცემების შეგროვებისას გამოყენებულ მეთოდებთან დაკავშირებულ ეთიკურ საკითხებზე. მერვე თავში ჩვენ განვიხილავთ დავიკვირვებას, ხოლო მეცხრე თავში დოკუმენტების ანალიზსა და აგრეგირებული მონაცემების გამოყენებას ვეხებით. მეათე თავი გამოკითხვის შესახებაა და ასევე შეიცავს დისკუსიას პირისპირ ინტერვიუზე. მეცხრე და მეათე თავებში ჩავრთეთ ინტერნეტში განთავსებული წყაროების მიმოხილვაც, რომლებიც სტატისტიკასა და კითხვარების შედგენაში გამოიყენება.

მეთერთმეტედან მეცამეტეს ჩათვლით თავები მიმართულია მონაცემთა ანალიზზე: როგორ ვახდენთ მონაცემების ინტერპრეტაციას და სხვებისთვის მიწოდებას? სამივე თავი შეიცავს განახლებულ მაგალითებს და დისკუსიას. აქვეა ახალი ცხრილები. მათი მიზანია, შეძლებისდაგვარად მარტივად და გასაგებად ასახონ სხვადასხვა მეთოდი. ასევე, უფრო მეტ ყურადღებას ვუთმობთ სტატისტიკური მნიშვნელოვნების შემოწმების გარშემო დისკუსიას. გვინდა, შემოწმების ლოგიკა გავხადოთ უფრო გასაგები და ხაზი გავუსვათ განსხვავებას სტატისტიკურ, თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელოვნებებს შორის. მეცამეტე თავი შეიცავს მასალებს ლოგარითმული რეგრესიის შესახებ, რომელიც სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინსტრუმენტი ხდება სოციალურ მეცნიერებებში. ყველაფერ ამას ვაკეთებთ იმგვარად, რომ არ გადავვიტოვოთ მკითხველი თეორიული საკითხებითა და სხვა ტექნიკური ხასიათის დეტალებით. ამ თავებში მოცემული ინფორმაცია ადვილად გასაგებია მათთვის, ვისაც სასკოლო დონის ალგებრაზე ზოგადი წარმოდგენა აქვს. ჩვენი მიზანია, როგორც ყოველთვის, დამლელი საკითხების მარტივი განმარტებები შემოგთავაზოთ და რაც მთავარია, ამ დროს არ დავამახინჯოთ ცნებები და შეცდომაში არ შევიყვანოთ მკითხველი.

დაბოლოს, მეთოთხმეტე თავში ჩვენ წარმოგიდგენთ ერთი კვლევის ანგარიშს, რომელიც სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის საფუძველზე შეისწავლის, აქვს თუ არა ადგილი მიკერძოებას გაზეთების მიერ პოლიტიკური კანდიდატების ფოტოსურათების შერჩევისას. ჩვენი რჩევაა, რომ სამეცნიერო ხელმძღვანელებმა, რომლებიც სტუდენტებს კვლევით ნაშრომებს აძლევენ დავალებად, ამ თავში მოყვანილი მაგალითიც გაითვალისწინონ.

ჩანართთან „როგორ კეთდება“ ერთად მოცემულია სასარგებლო მინიშნებების ჩანართები, რომელიც აღნიშნულია „ნათურა“ სიმბოლოთი. მათი ამოცანაა მკითხველისთვის პრაქტიკული მინიშნებების მიცემა. მეექვსე გამოცემა ბევრ ასეთ ჩანართს შეიცავს, განსაკუთრებით წიგნის ბოლო თავებში, სადაც ისინი ყველაზე მეტად არის საჭირო. თითოეულ თავს აქვს რეკომენდებული ლიტერატურის განახლებული სია და ტერმინების განმარტებები. წიგნს ბოლოში თან ერთვის სიტყვარი 250-ზე მეტი ტერმინის განსაზღვრებით.

ჯეისონ დ. მაიკოფი გვიერთდება წიგნის ამ გამოცემაში. ის ასევე არის წიგნის ვებგვერდზე არსებული მასალების დიდი ნაწილის მთავარი შემოქმედი. ვებგვერდი <http://psrm.cqpress.com> გთავაზობთ სასწავლო მასალებს სტუდენტებისთვის და ასევე, ლექტორების დამატებით რესურსებს. სტუდენტებს, ვებგვერდის გამოყენებით, შეუძლიათ გაეცნონ წიგნის თავების მოკლე მიმოხილვებს, ასევე იხილონ სხვადასხვა სახის საგამოცდო ტესტები, კროსვორდის მსგავსი დავალებები და დამატებითი ელექტრონული რესურსების სია. ლექტორებს აქვთ წვდომა 350 ტესტსა და საგამოცდო კითხვების ბაზასთან, ასევე დაახლოებით 250 სალექციო სლაიდთან, რომლებიც წიგნის თავებს ეხმიანება (ლექტორების რესურსებს კოდი სჭირდება).

დაბოლოს, ჩვენ გვსურდა მოსაზრება გამოგვეთქვა სტატისტიკურ პროგრამასთან დაკავშირებით. ლექტორების მოსაზრებები ორად იყოფა იმ საკითხზე, თუ რამდენად უნდა იყოს კომპიუტერული პროგრამები შესავალი კურსის ნაწილი და კონკრეტულად რომელი პროგრამების ჩართვა უნდა მოხდეს. დისციპლინის ბევრი წარმომადგენელი ეყრდნობა ისეთ პროგრამას, როგორცაა SPSS. ზოგიც მიიჩნევს, რომ სტუდენტებმა უნდა გამოიყენონ პროგრამა R. ჩვენ ლექტორებსა და სტუდენტებს ვურჩევთ, სცადონ სხვა, ინტერნეტში ხელმისაწვდომი სტატისტიკური რესურსებიც, როგორცაა SDA, ICPSR, Athens, American Factfinder, Rice Virtual Statistics Lab, Vassarstats და ა.შ. მართალია, ჩვენ ექსპლიციტურად ვახსენებთ SPSS-ს, მაგრამ არა მხოლოდ იმიტომ, რომ მას ვიყენებთ ან მას ვანიჭებთ უპირატესობას, არამედ იმიტომ, რომ შესავალ კურსებში ეს პროგრამა ფართოდ გამოიყენება. ამავდროულად, ჩვენ ვეცადეთ ჩვენი დისკუსია და შედეგების განხილვა ყოფილიყო იმდენად ზოგადი, რომ ის თავსებადი იყოს ნებისმიერ სისტემასთან.

მადლობა

ჩვენ გვსურს, მადლობა ვუთხრათ ჩვენს რეცენზენტებს, რომლებიც დაგვეხმარნენ ამ ახალი გამოცემის მომზადებაში: ლაურენს ბატლერს, როვანის უნივერსიტეტიდან; რობინ მ. ლაუერმენს, მესია კოლეჯიდან; გრეგ პეტროუს, ნებრასკა-ომაჰას უნივერსიტეტიდან და ემანუელ უვალაკას, წმ. ლუისის უნივერსიტეტიდან. თითოეულმა მათგანმა ხელი შეუწყო მეექვსე გამოცემის სრულყოფას და ჩვენ მადლობას ვუხდით მათ ამისთვის.

ასევე, ჩვენ გვსურს მადლობა ვუთხრათ იმ რამდენიმე ადამიანს, ვინც შეიტანა წვლილი ამ გამოცემაში, კერძოდ, გამომცემლობის თანამშრომლებს: ელის ფრაზიერს, ამი მარკს, კერი კერნის და სტივ პაზდანს. ჩვენ ასევე მადლობას ვუხდით ჯიმ ტეილორს და ლეროი სტიარუოლტს, წიგნის დამკაბადონებლებს. ამ სახის წიგნს კრიტიკული მეთვალყურეობა სჭირდება და ჩვენ კმაყოფილი ვართ, რომ ამდენი კარგი თვალი აკვირდებოდა მას.

ჯანეტ ბუტოლფ ჯონსონი
ჰ.ტ. რეინოლდსი

შესავალი

პოლიტიკის შემსწავლელი მეცნიერები სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენის შესწავლითა და გაგებით არიან დაინტერესებული. მაგალითად, ზოგიერთ ჩვენგანს სტაბილური და უსაფრთხო პოლიტიკური რეჟიმების ფორმირების ხელშემწყობი გარემოებების კვლევა აინტერესებს. ზოგიერთი სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებით და ურთიერთქმედებით არის დაინტერესებული. სხვებს უფრო მეტად დემოკრატიულ სახელმწიფოებში საზოგადოებასა და საჯარო მოხელეებს შორის არსებული ურთიერთობები აინტერესებთ, კერძოდ, ახდენს თუ არა საზოგადოებრივი აზრი გავლენას საჯარო მოხელეების მიერ პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე. ასევე, ზოგიერთი მეცნიერი ცალკეული პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციონირებას იკვლევს. ისინი ატარებენ კვლევებს ამგვარი საკითხების გარშემო: კონგრესი ორგანიზებული ჯგუფების ინტერესებს ემსახურება თუ საზოგადოების? სასამართლოს გადაწყვეტილებები კონკრეტული მოსამართლეების ინდივიდუალურ ღირებულებებსა და მოსამართლეთა ჯგუფურ დინამიკაზეა დამოკიდებული, თუ სასამართლო პროცესის მხარეთა შედარებით გავლენასა და ძლიერებაზე? რამდენად შეუძლიათ ამერიკის პრეზიდენტებს გავლენა მოახდინონ ფედერალური ბიუროკრატიის ქცევაზე? საზოგადოებრივი მომსახურების გასაწევად მომსახურების არაკომერციული ორგანიზაციების გამოყენება ხომ არ ცვლის მთავრობის კონტროლსა და ანგარიშვალდებულებას ამ მომსახურებების გაწევის თვალსაზრისით? აფერხებენ თუ აძლიერებენ პოლიტიკური პარტიები დემოკრატიულ პროცესებს? რამდენად განსხვავდება სახელმწიფოთა პოლიტიკური გადაწყვეტილებები ერთმანეთისგან და რატომ?

ეს წიგნი შესავალია **ემპირიული კვლევების** პროცესსა და მეთოდებში. ემპირიული კვლევები, პოლიტიკური მოვლენების შესახებ მეცნიერული ცოდნის შესაქმნელად, მოვლენების რეალურ და „ობიექტურ“ დაკვირვებებს ეყრდნობა. მეცნიერული ცოდნა, რომელსაც ჩვენ უფრო დეტალურად მეორე თავში განვიხილავთ, განსხვავდება ცოდნის სხვა ტიპებისაგან, როგორცაა ინტუიცია, ცრურწმენები ან მისტიკური ცოდნა. ერთ-ერთი განსხვავება იმ მეთოდებშია, რომელთა მეშვეობითაც მეცნიერული ცოდნის მიღება ხდება. ემპირიული კვლევების ჩატარებისას მკვლევარი ინფორმაციის შეგროვების, ანალიზის და შეფასების მკაფიოდ განსაზღვრულ პრინციპებს ეყრდნობა. მარტივად რომ ვთქვათ, **პოლიტიკის მეცნიერება** არის ამ პრინციპების გამოყენება ისეთი მოვლენების შესასწავლად, რომლებიც საკუთარი შინაარსით პოლიტიკურ მოვლენათა კატეგორიას განეკუთვნება.

სტუდენტებმა ორი ძირითადი მიზეზის გამო უნდა შეისწავლონ ის, თუ როგორ წარმართავენ პოლიტიკის შემსწავლელი მეცნიერები ემპირიულ კვლევებს. პირველი, თანამედროვე ამერიკული საზოგადოების მოქალაქეებს ხშირად მოუწოდებენ შეაფასონ პოლიტიკური მოვლენების შესახებ ჩატარებული ემპირიული კვლევები. მაგალითად, დებატები სიკვდილით დასჯის სასჯელის გონივრულობის თაობაზე ხშირად არის დამოკიდებული იმაზე, არის თუ არა სიკვდილით დასჯა დანაშაულის პრევენციის ეფექტიანი მექანიზმი. ასევე, დებატები არჩეული საჯარო მოხელეების თანამდებობაზე ყოფნის ვადების შეზღუდვებთან დაკავშირებით მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორცაა კითხვა: ზრდის თუ არა ამგვარი შეზღუდვები არჩევნების კონკურენტუნარიანობას? აგრეთვე, აღმოსავლეთ ევროპაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ცენტრალურ ამერიკასა და სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე პროცესების შეფასება დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ღირებულებების განვითარებისთვის ისეთი ფაქტორების მნიშვნელობის გააზრებას საჭიროებს, როგორცაა კონკურენტუნარიანი არჩევნები, გამოხატვის თავისუფლება, რელიგიური შემწყნარებლობა და კერძო საკუთრების უფლება. ამ და ბევრ სხვა შემთხვევაში დაინტერესებული მოქალაქეები ხვდებიან, რომ მათ პოლიტიკის მეცნიერების (და სხვა სოციალური მეცნიერების) კვლევებისა და თეორიების სისწორე და ადეკვატურობა უნდა შეაფასონ.

მეორე მიზეზი პოლიტიკის მეცნიერების კვლევის მეთოდების შესასწავლად არის ის, რომ სტუდენტებს ხშირად ესაჭიროებათ სამეცნიერო კვლევების დამოუკიდებლად ჩატარება და მეცნიერული ცოდნის მიღება პოლიტიკაზე სემესტრული ნაშრომის ან სემინარისთვის კვლევითი პროექტის მოსამზადებლად, ან თუნდაც ემპირიული კვლევის მეთოდების სასწავლო კურსისთვის განკუთვნილი დავალებების შესასრულებლად. ემპირიული კვლევის მეთოდების ცოდნა ამ ყველაფრის კარგად შესრულების უმთავრესი წინაპირობაა.

ემპირიული კვლევის მეთოდების შესწავლის პერსპექტივა სტუდენტებს დიდად არ ხიბლავთ. ხშირად სტუდენტებს ამგვარი კვლევები არ მოსწონთ იმის გამო, რომ ისინი შეეხება ციფრებსა და სტატისტიკას. იმისათვის, რომ კვლევა კარგად გავიგოთ, აუცილებელია სტატისტიკის საბაზისო ცოდნა და კვლევის შედეგების ანალიზისა და აღწერისთვის სტატისტიკის გამოყენება. თუმცა, ემპირიული კვლევის პროცესი, რომელსაც ჩვენ აქ აღვწერთ, პირველ რიგში, არის აზროვნების გზა და მოწესრიგებულად განსჯის რეცეპტი. სტატისტიკაზე საუბარს დავიწყებთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც გავიაზრებთ იმ პროცესს, რომელიც სამეცნიერო კვლევებს უკავშირდება.

ასევე, სტუდენტებს ხანდახან არ სურთ სოციალური მეცნიერების კვლევის მეთოდების კურსის გავლა, რადგან მათ უჭირთ ამ კურსსა და მათი პროგრამის სხვა კურსებს შორის კავშირის დანახვა. თუმცა ამ კურსის საკვანძო ცნებების და მიდგომების გაგება უმნიშვნელოვანესია სხვა კურსებთან ასიმილაციისა და ცოდნის გენერირებისთვის. სამეცნიერო

კვლევის პროცესის გააზრების მნიშვნელოვანი შედეგი ის არის, რომ სტუდენტმა შესაძლოა, დაიწყოს უფრო დამოუკიდებლად ფიქრი სხვა კურსებსა და ლექციებზე შემოთავაზებულ ცნებებსა და თეორიებზე. მაგალითად, სტუდენტმა შეიძლება, თქვას, „ეს შესაძლოა, იყოს სწორი მოცემულ პირობებში, მაგრამ, მე მჯერა, რომ ეს არ იქნება სწორი შემდეგ გარემოებებში.“ ან „თუ ეს თეორია სწორია, მაშინ მე უნდა შევძლო, დავინახო შემდეგი.“ ან „მანამდე, სანამ დავეთანხმები ამ ინტერპრეტაციას, ამ საკითხზე დამატებითი ინფორმაციის გაცნობას ვისურვებდი.“ სტუდენტები, რომელთაც შეუძლიათ განსაზღვრონ, რა ინფორმაციაა საჭირო გარკვეული იდეის გადასამოწმებლად და მოვლენებს შორის რა სახის ურთიერთობებს უნდა დააკვირდნენ, უფრო მეტად შეძლებენ გაიგონ ის საგნები, რომლებსაც შეისწავლიან.

მკვლევრები ემპირიულ კვლევებს ორი ძირითადი მიზეზის გამო ატარებენ. პირველი მიზეზი ცოდნის აკუმულირებაა, რომელიც კონკრეტული პრობლემის გადასაჭრელად ან კონკრეტული ვითარების გასაუმჯობესებლად შეიძლება გამოდგეს. მაგალითად, დანაშაულის შესახებ ჩატარებული კვლევები შესაძლოა, სასარგებლო იყოს დამნაშავეობის დონის შესამცირებლად; ან კვლევები სიღარიბის მიზეზების თაობაზე შესაძლოა, დაეხმაროს მთავრობებს წარმატებული სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკის დაგეგმვასა და განხორციელებაში. ამგვარ კვლევას ხშირად გამოყენებით კვლევასაც უწოდებენ, რადგან მას აქვს საკმაოდ პირდაპირი და სწრაფი გავლენა რეალურ სიტუაციებზე.

ხშირად მკვლევრები ემპირიულ კვლევებს რომელიმე კონკრეტულ საკითხთან მიმართებაში საკუთარი ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ატარებენ, მიუხედავად იმისა, კვლევის შედეგები იქონიებს თუ არა გავლენას მთავრობების პოლიტიკასა და ცალკეულ ინდივიდთა ქცევაზე. მაგალითად, პოლიტიკის ბევრი მკვლევარი ამომრჩეველთა მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესს შეისწავლის არა იმიტომ, რომ მათი მიზანია, პრაქტიკული რჩევები შესთავაზონ პოლიტიკურ კანდიდატებს, არამედ მათ აინტერესებთ, გამოიკვლიონ, აძლევს თუ არა არჩევნები საზოგადოებას გარკვეულ გავლენას არჩევითი საჯარო მოხელეების ქცევაზე. ამგვარ კვლევას ხანდახან ფუნდამენტურ, თეორიულ, ან რეკრეაციონალურ კვლევასაც უწოდებენ, იმის აღსანიშნავად, რომ ამგვარი კვლევის მთავარი დანიშნულება პრაქტიკული გამოყენება არ არის.¹

ჩვეულებრივ, პოლიტიკის მეცნიერები მათი კვლევების შედეგებს წიგნებში ან სტატიების სახით პოლიტიკის მეცნიერების კვლევით ჟურნალებში აქვეყნებენ (იხილეთ მე-6 თავი ამგვარ ჟურნალებში სტატიების მოძიების მეთოდებთან დაკავშირებით). აკადემიურ ჟურნალებში გამოქვეყნებული კვლევები ჩვეულებრივ მოიცავს მონაცემებსა და ინფორმაციას, რომელთა საფუძველზეც გარკვეული დასკვნების გაკეთებაა შესაძლებელი. ასევე, ჟურნალში გამოქვეყნებამდე კვლევა გადის რეცენზირების პროცესს, რაც გულისხმობს, რომ სხვა მეცნიერები აფასებენ მის საფუძვლიანობას. ამავდროულად, პოლიტიკის მეცნიერების საკვლევი

საკითხები და ანალიზი დროდადრო გაზეთებსა და პოპულარულ ჟურნალებშიც ჩნდება, რომელთაც ფართო აუდიტორია და მკითხველი ჰყავს. ასე ფართოდ გამოქვეყნებული კვლევებიც კი, შესაძლოა, ემპირიული პოლიტიკის მეცნიერების მეთოდებსა და მიდგომებს იყენებდეს.

წინამდებარე თავში ჩვენ პოლიტიკის მეცნიერების რამდენიმე კვლევით პროექტს განვიხილავთ, რომლებიც მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების გარშემო მეცნიერული ცოდნის გენერირებისთვის შესრულდა. კვლევის პროცესის სხვადასხვა ასპექტის ილუსტრირების მიზნით, ჩვენ ამ მაგალითებს ამ წიგნში ხშირად შევხვებით. ამ ეტაპზე ამ მაგალითებს შედარებით დეტალურად ვთავაზობთ, იმისათვის, რომ მომდევნო განხილვები თქვენთვის უფრო ადვილად გასაგები გახდეს. ჩვენ არ ველით, რომ თქვენ ამ ეტაპისთვის ყველა დეტალში შეძლებთ დახელოვნებას. უფრო სწორად, თქვენ უნდა გაეცნოთ ამ მაგალითებს და დაიმახსოვროთ, რომ მათი მიზანი სხვადასხვა საკვლევი საკითხის და მეთოდის ილუსტრირებაა. შემოთავაზებული მაგალითები ასევე გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება კვლევითი პროცესის ასპექტების შესახებ მიღებულმა გადაწყვეტილებებმა გავლენა მოახდინოს საკვლევი საკითხის შესახებ მიღებულ დასკვნებზე. ასევე, ეს მაგალითები არის პოლიტიკის მეცნიერთა მცდელობები, მიიღონ მეცნიერული ცოდნა სხვა მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების შედეგებზე დაშენებით, იმისათვის რომ პოლიტიკური ქცევების და პროცესების მაქსიმალურად სრულყოფილ ახსნებამდე მივიდნენ.

კვლევა პოლიტიკაში მოგაბუღთა და ნაგაბუღთა შესახებ

1936 წელს ჰაროლდ ლასუელმა გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით *პოლიტიკა: ვინ იღებს რას, როდის და როგორ*.² ამ დროიდან მოყოლებული, პოლიტიკის მეცნიერებს მოსწონთ ეს სათაური, რადგან ის მოკლედ გადმოგვცემს მნიშვნელოვან სიმართლეს: პოლიტიკა არის მოგებისა და წაგების შესახებ. არც ერთ პოლიტიკურ სისტემას, თვით სრულიად დემოკრატიულსაც კი, არ შეუძლია ერთდროულად ყველას ყველაფერი შესთავაზოს. ცალკეული პოლიტიკური პროცესები ზოგისთვის ხელსაყრელია და ზოგისთვის არა და ეს, ხშირ შემთხვევაში, გარდაუვალია. შესაბამისად, ამ დაკვირვებიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოლიტიკის მეცნიერების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმის გარკვევაა, თუ კონკრეტულად რომელი ინდივიდები ან ჯგუფები იღებენ ყველაზე მეტ სარგებელს პოლიტიკური ბრძოლის შედეგად და რატომ.

როგორც მოსალოდნელი იყო, პოლიტიკური შედეგების ახსნის მცდელობებმა ფართოდ განსხვავებული ფორმები მიიღო. ერთ-ერთი მიდგომის, კერძოდ, ძალაუფლების რესურსების თეორიის (power resources theory) თანახმად, პოლიტიკურ ბრძოლაში გამარჯვებული სოციალური ფენები თუ კლასები წარმატებას დიდწილად მათი პოლიტიკური რესურსების მეშვეობით აღწევენ, ვიდრე მათი მოთხოვნების ლეგიტიმურობით